F 264/3 № 12980

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართ. მემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტია

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი.
1 გვ. 20,000 მან. ნონპარელი
4 „ 10,000
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 500,000 მან.
4 „ 300,000 „

№ 385 ოთხშაბათი, იანვრის 3 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ღირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში.

ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34 ფოსტის ყუთი № 190.

გაუბედურებული მეუღლე ვლადიმერ გრიგოლის ძე, შვილები: ნადია, ლიუბა და ვალიკო კანდელაკები, ქალი და სიძე ვერა და ვასიკო კვინიკაძეები შვილით რეზიკოთი, მშობლები: მღვ. ილარიონ და მაკრინე, ძმა მღვ. თეოდოტი გიორგაძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ 29 დეკემბერს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ნატალია ილარიონის ასული კანდელაკისა

გამოსვენება მოხდება 3 იანვარს დღისით 3 საათ. ბინიდან ჩერქეზიშვილის ქ. № 130 რკინის გზის სასწავლებლის შენობიდან. № 371

ოთხშაბათს, 3 იანვარს, 1922 წ. საღამოს 5 საათზე სახალხო სახლის შენობაში შესდგება ქ. ტფილისის საბჭოს

კომფრაქციის სხდომა

ამავე დღეს საღამოს 7 საათზე იმავე შენობაში შესდგება

საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი: 1. მოხსენება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობის შედეგების შესახებ. 2. ამხ. გ. კიკნაძის მოხსენება ზემო ავჭალის გიდრო-ელექტრონულ სადგურზე მუშაობის მსვლელობის შესახებ. 3. ქ. საბჭოს ხელ-ახალი არჩევნები. 4. მიმდინარე საკითხები.

კომფრაქციის და საბჭოს სხდომა შესდგება თავის დროზე დამსწრეთა რიცხვის მიუხედავად.

251 3—2 მდივანი: ხუნდაძე.



## ა. სუმბათაშვილი-იუჟინი

**(მისი 45 წ. იუბილეს გამო.)**

მოჩალოვის შემდეგ რუსულ სცენაზე ისეთი პოპულიარობით და პატივისცემით არავინ იხსენიება—როგორც ა. სუმბათაშვილი—იუჟინი.

ა. იუჟინი და რუსული თეატრი! შეზრდილნი არიან ერთად და როგორც სჩეპკინმა შეჰქმნა მთელი ეპოქა ისე იუჟინმა შეჰქმნა მთელი სკოლა. მან გამოიყვანა სცენაზე მთელი რიგი, დიდი ბრწყინვალე პლეადა. მსახიობთა. მან და თითქმის ერთად-ერთმა აამაღლა პრესტიჟი მსახიობის და გაამაგრა კედლები რუსულ თეატრის.

ორმოცდა ხუთი წელია, რაც იგი ემსახურება რუსულ თეატრს და მუშაობს მოსკოვის მცირე თეატრის სცენაზე. აქ ამ თეატრში გარდაიშალა მისი მრავალმხრივი ტალანტი: არტისტის, დრამატურგის, კრიტიკოსის...

ა. იუჟინი—გახდა ცენტრალური ფიგურა სჩეპკინის სახლის; იგი გარდაიქცა მთელი თეატრის მამოძრავებელ ძალად, ისეთ ფოკუსად, სადაც თეატრის ყოველი ფუნქცია ერთად იკრიფებოდა. ვინ იცის ეს გოლიათი რომ არ ყოფილიყო ამ რევოლიუციის ქარიშხალის დროს, რუსული თეატრის საქმე როგორ იქნებოდა.

ა. იუჟინის სიტყვა ეს თეატრალური კანონი იყო ყველა მსახიობის და მის სახელს ხომ კარგად იცნობენ ყველანი: რუსეთიც და უცხოეთიც.

ვისაც უნახავს ა. იუჟინი და ვისაც ესმის სასცენო ხელოვნება, ვინც იცნობს, რა არის ესტეტიური შემეცნება—ის უსათუოდ აღიარებს ა. იუჟინის დიდ არტისტიულობას. ა. იუჟინი ხელოვანია ნამდვილი. იცის სიტყვის მკვეთრი ათამაშება და პლსატიური მოძრაობა. შესწავლილი აქვს ყოველი კონტური თავის ფეხის გადადგმის და დამუშავებული მთელი რიგი კლასიკურ როლების.

იუჟინი—წმინდა კლასიკაა და კლასიკური სიმძაფრით, სიმარტივით გვიხსნის თავის ყოველ ხაზს.

დიდი ერუდიცია—სასცენო ხელოვნების—ესტეტიურ ფილოსოფიურ თვალსაზრისით გამაგრებული.

დიდი ტეხნიკა—სასცენო ხელოვნების სიმეტრიით და პროპორციით გაზომილი, შესრულებული. შეიძლება აქ სჭარბობდეს ხშირად მისი გონება ვიდრე ზეშთაგონება. მაგრამ მსახიობი გამართლდება დიდი სასცენო კულტურით. მას აქვს დიდი ალღო და არტისტიული ინსტიქტი.

ა. იუჟინი ძველი სკოლის მსახიობია. მსახიობი მუნე-სიულლის, ტომაზო სალვინის, ბარნაის სკოლის. ეს უფრო ამაღლებს მის სახელს. მიტომ, რომ დღეს მსახიობის—ხელოვანის დაქვეითების ხანაში ვცხოვრობთ.

ა. იუჟინი მარტო მსახიობი არა ყოფილა რუსეთის სცენისთვის, მან შეჰქმნა მთელი რეპერტუარი თავისი პიესებით და ერთ უძვირფასეს განძად მისძღვნა თავის მივიწყებულ სამშობლოს, დიდებული „ღალატი“. ამ „ღალატმა“ იხსნა ი. იუჟინი თავის სამშობლოს სამდურავისგან და დღეს აქ ჩამოსულ სტუმარს უმართავს ბრწყინვალე იუბილეს.

საკმაოა ერთი მისი „ღალატი“ წარმოვიდგინოთ, რომ ა. სუმბათაშვილის მთელი ღირსება, ნიჭი, დამსახურება—თვალწინ აგვეხატოს და ჩვენც ღირსეული პატივი ვცეთ მას.

**ვახტანგ გარრიკი.**

# წელთა სრბოლაში

ოსტვალ შპენგლერი იტოდა, რომ ინგლისელი ხალხი ჩამოყალიბდა სიმდიდრესიღარიბეში, ხოლო პრუსეთის ხალხი ბრძანება-აღსრულებაშიო. საქართველოს ხალხი კი ბრძოლის პროცესში გამოიკვეთა, რომელმაც ქალდეას ველებიდან კავკასიონის მაღალ ქედამდე მოაღწია.

წელთა სრბოლაში ქართველი ხალხი საომარ ტანსაცმელში იყო გახვეული და ხმალი სჭრიდა მის ბედს.

როდესაც აზიაში დიდი სახელმწიფონი აღმოცენდებოდა საქართველოს დევნაც დაიწყებოდა, ხოლო როდესაც დიდი სახელმწიფონი დაიმსხვრეოდენ,—საქართველოსთვის დგებოდა შესვენების პერიოდი.

დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობა და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრული მიმართება ხშირად ყოფილა პატარა ერთა და სახელმწიფოთა ბედის მჭედელი.

ჩვენი ეროვნული ენერგიის სიმცირე და ულელტეხილისებური გეოგრაფიული მდებარეობა განსაკუთრებული საფუძველია საქართველოს პოლიტიკისა.

ჩვენ უკვე ჭაღარით შემოსილი ერი ვართ, საკმაოდ დასუსტებული და დაქანცული საუკუნოების მიერ მისჯილი ბრძოლებით.

თანამედროვე ეპოქა გააფთრებული ბრძოლების ეპოქაა. ქართველი მშრომელი ხალხის გაკაჟებული ენერგია უნდა ამოძრავდეს ამ წელთა სრბოლაში, რომ მან შესძლოს ისტორიის ლოღიკის მომარჯვება. მან იკისრა ერის მესვეურობა მძიმე პირობებში მაგრამ მაინც შესძლებს და თავისას გაიტანს.

ტირილი და გოდება, პატრიოტული სანტიმენტალიზმი და ვიწრო პოლიტიკური ჩხირკედელობა ვერ მისწვდება ერის სამსახურის სიმაღლეს და ჩვენს ირგვლივ მოვლენათა სიდიდე გრანდიოზობას.

ახალ წელში შევსდგით ფეხი. გასული წლების მოვლენები ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში კერძოდ და საერთაშორისო მაშტაბში საერთოდ, საკმაო მასალებს იძლევა პოლიტიკურ მოვლენებში გარკვევისათვის.

ძველი სამყაროს სასიკვდილო აგონიის სიმწვავე ჩვენს ცხოვრებას თავს დაფარფატებს. დიდი რევოლიუციების პროცესი სწარმოებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქართველი მშრომელი ხალხი ამ მწვავე ჭიდილში ასრულებს თავის მისიას, რომ მოისვენოს კულტურული შემოქმედებისათვის და მაშინ ნახონ თუ რა შესძლებია ქართულ გენიას.

# თ უ რ ქ უ ლ ი პ რ ე ს ა

(გაგრძელება*)

„უმრავლესობა თურქებისაგან შემდგარ ამ მდიდარ სამეურნეო ქვეყნია სიერციისა ხელში საგდება, პირველ შეხედვით მიმზიდველია. მაგრამ საკითხი თუ ღრმად იქნება გამოკვლეული, გამოჩნდება დასავლეთ ფრაქიასავით ერთი ადგილი პირდაპირ ჩვენ მიერ შემოერთება და ბალკანეთის საერთო მტრობაში ჩვენი ჩარევა, თუ არა დიდი საზარალო არის ჩვენთვის, ეს კარგად ვიცით, თურქის ერისთვის თავი და თავი მიზანი ერის საგარეო დარდების გამოკეთება და საგარეო ნდობის მტკიცე საფუძველზე დამყარებით თზრუნვოფაა. და შინაურულად კი დადებითი საქმეები გართვა და მუშაობაა.

საკითხი, ჩვენი ანუ ამისა და იმის თვალსაზრისით კი არა, პირდაპირ ბალკანეთში მშვიდობიანობის დამყარების მოსასრებით, თუ იქმნება გათვალისწინებული, გამოჩნდება რომ საქის გამოსასწორებელი გონიერი სისტემა, დასავლეთ ფრაქიის, დაინტერესებულ სახელმწიფოთა კოლეგიალური თავდებობით, ანუ მაგადითად: სკანდინავიის სახელმწიფოთაგან ერთის ადმინისტრაციული დახმარებით, შემწეობით, დამოუკიდებლობის მიღება და ცნობა არის, ასე ამ რიგად დასავლეთი ფრაქცია. ბალკანეთისათვის სასკანდალო ადგილის ნაცვლად შეიქმნება პირდაპირ მშვიდობიანობისა და საწესრიგო ტერიტორიად.

ასეთი ხასიათისა და თვისების მიწაწყლის არსებობა, ბალკანეთის აწეწილი საქსეების გამოსწორებაზე და შეჩერებაზე და ბალკანეთის სახელმწიფოთა ყველა თითეულად თავიანთი საგარეო წარსულით გართულნი არიან, შეაწყვეტინებინებს მსგავს საქმეებზე ენერგიის დახარჯვასა და მას მოახმარებინებს შინაური საქმეების გასაუმჯობესობისათვის და თუ საქმეში კვლავ ჯიუტობას, და მორიგების ფუძეებზე დამყარებით კერძო სარგებლობას და ფანატიკობას ადგილი ექმნება მაშინ კი სულ ადვილად გამოუსავალ მდგომარეობაში ჩავარდება.

ჩვენ ასე გვეჩვენება რომ ლოზანის კონფერენციაში, მზე და ბურუსიან ნისლთ შორის ბრძოლაა გამართული. სახელმწიფოების ზოგიერთის მხრით მშვიდობიანობის დამყარებას სცდილობენ. მეორე მხრით კი ისე ძველი პოლიტიკის ნაშთებთან მეტ-ნაკლებად თავის დამოკიდებულებას არ სწყვეტავენ. ამიტომ არის, რომ ერთსა და იმავე დროს თან მარჯვნივ და თანაც მარცხნივ იწევიან, რომელი მიმართულება გაიტანს, მხოლოდ კონფერენციის ატმოსფერის საზომ „ბარომეტრად“ დასავლეთი ფრაკიის საკითხი უნდა შეიქმნეს. ამ საკითხის გარშემო გამოსარკვევი მდგომარეობა, კონფერენციის შედეგებზე არის დამოკიდებული მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით და გვწამს, რომ თუ ერთჯერ საზავო კონფერენციის მაგიდაზე თავისუფალი კამათი დაიშვა, შემდეგ კი ჭზავის მზემ მეტად რთული და მძიმედ ჩამოწოლილ ატმოსფერას უნდა დასძლიოს.

*) „ტრიბუნა“ № 383.

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საკავშირო ყრილობა

**დელეგაციების ყრილობა**

**მოსკოვი.** 2 იანვარი. 30 დეკემბერს შესდგი რ. ს, ფ. ს. რ., უკრაინის, ამიერ-კავკასიის ფედერაციის და ბელორუსიის რესპუბლიკების [illegible] ყრილობების კონფერენ[illegible]ს შემადგენლობაში [illegible] კალინინი, (რ[illegible]) [illegible]კი (უკრაინის ფ. ს. რ.) და ჩერვიაკოვი (ბელორუსიის ს. ს. რ.) კონფერენციამ დაამტკიცა დეკლარაციის პროექტი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ და ხელშეკრულების პროექტი მათ შორის.

**ყრილობის გახსნა**

— დიდ თეატრში საზეიმოდ მორთულ[illegible] სტურ რესპუბლიკების საკავშირო ყრილობა. ყრილობაზე მონაწილეობას ღებულობს 1217 დელეგატი საბჭოთა რუსეთიდან 254 დელეგატი უკრაინიდან, 73 დელეგატი ამიერ-კავკასიიდან 32 დელეგატი ბელორუსიიდან.

**ამხ. სმიდოვიჩის სიტყვა**

გახსნა რა ყრილობა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის უხუცესმა წევრმა სმიდოვიჩმა სთქვა: „ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებმა თავიანთ საბჭოების ყრილობაზე გამოსთქვეს ერთსულოვანი სურვილი საბჭოთა რესპუბლიკების უფრო მჭიდროდ გაერთიანების შესახებ. ამ სურვილს მხარი დაუჭირა რ. ს. ფ. ს, რ. მშრომლებმა საბჭოთა მეათე ყრილობაზე. საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება, დამყარებული არა ძალადობაზე, არამედ მშრომელთა კეთილ სურვილზე, ერის ძლიერების წყარო და თავდები საბჭოთა რესპუბლიკების ახალ გამარჯვებისათვის.

**პრეზიდიუმის არჩევნები.**

ირჩევენ ყრილობის პრეზიდიუმს 25 კაცის შემადგენლობით. მქუხარე ტაშით ეგებებიან წინადადებას ამხ. ლენინის ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

**სტალინის მოხსენება.**

მომხსენებელი სტალინი ამბობს: „დღევანდელი დღე წარმოადგენს ახალი რუსეთის ზეიმს, რომელმაც ძველი რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე გააერთიანა ერები საბჭოთა რესპუბლიკების თავისუფალ და ძლიერ კავშირში, რომელიც წარმოადგენს მომავალ მსოფლიო კავშირის ჩანასახს მომხსენებელი კითხულობს დეკლარაციას და საკავშირო ხელშეკრულებას.

ფრუნზე საბჭოთა რესპუბლიკის დელეგაციის სახელით ლაპარაკობს: „ხელშეკრულების ტექსტი განხილული იყო ადგილობრივ, რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობებზე. ეს წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ხელშეკრულებაში ყველაფერი გათვალისწინებული და აწონდაწონილია. მაგრამ დელეგაციებმა საჭიროდ დაინახეს გაესინჯათ ხელშეკრულების ცხოველმყოფელობა პრაქტიკაში, ჯერ დაემტკიცებიათ ის როგორც საფუძველი, დაეგზავნათ ადგილობრივ ცაკებისათვის დასკვნისათვის და გადაეცათ ამ ხელშეკრულების საბოლოო რატიფიკაცია მეორე საბჭოთა საკავშირო ყრილობისათვის.

ფრუნზეს წინადადება შემოაქვს—არ შეუდგენ ხელშეკრულების მუხლობრივ განხილვას და დაკმაყოფილდენ დადგენილებით საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ.

ეს წინადადება მიიღეს ერთხმად მქუხარე ტაშით.

მისალმებით ბუხარის და ხორეზმის რესპუბლიკების სახელით გამოდიან: კარაბულატოვი და საფაროვი, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ბუხარა და ხორეზმა ჯერ კიდევ არ შესულან კავშირში, მაგრამ ისინი მიისწრაფვიან აქეთკენ. ორატორები იმედს გამოსთქვამენ, რომ ახლო მომავალში ბუხარა და ხორეზმა შევლენ კავშირში და გახდებიან სოციალისტურ რესპუბლიკად.

ესალმება რა ყრილობას კომინტერნის სახელით კოლლაროვი ამბობს, რომ ამ ყრილობას აქვს მსოფლიო მნიშვნელობა: პირველად ერთა მასები ანხორციელებენ თავიანთ უფლებას თავისუფალ თვითგამორკვევისათვის და შედიან თავისუფალ კავშირში.

წითელი არმიის სახელით ყრილობას ესალმება მთავარსარდალი კამენევი, ამ კავშირს, ამბობს ის, წითელი არმია უცქერის, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების ერების ძმობის განხორციელებას.

წითელი არმია ამცირებს თავის შემადგენლობას 800.000 კაციდან 600.000-მდე. და აახალგაზრდავებს მის მაგრამ ამ ახალგაზრდობას კარგად ახსოვს ძლევა-მოსილი წითელი არმიის აღთქმა და აცხადებს, რომ ის პირნათლად აასრულებს რესპუბლიკების საზღვრებში დაცვის საქმეს.

რუდზუტოვს წინადადება შემოაქვს, რათა საკავშირო ყრილობის მუშაობის აღსანიშნავად მოსკოვში გაიხსნას კავშირის სახლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული მხედრული, წარმომდგარი ქართული ხუცურისაგან კარგა ხანია, თავისი გენეტიური სახით, დასცილდა ძველს და დღეს საჭიროა ცოტა ოდენი ცვლილება და გადაკეთება მოხდეს ზოგიერთი ასოსი, რომ მას აღარ დასჭირდეს აღარავითარი რეფორმა. ჩვენ აუცილებლად მოვითხოვთ გამარტივდეს ზოგიერთი ასო, როგორიცაა მაგალითად: ლ, რ, ო, ჯ, ჭ, ქ, ბ, და მრავალი სხვა, რომელთაგანაც ზოგიერთებმა რადიკალურად უნდა შეიცვალონ სახე გამარტივების მიზნით, ხოლო ზოგი ასოს ბეჭდური ფორმა უნდა დაემსგავსოს ხელთნაწერს ფორმას. წინააღმდეგ შემთხვევაში თუ ჩვენ დავტოვეთ ბეჭდური სახე და წერითი ერთმანეთისაგან განსხვავებულად, მაშინ მოგვიხდება წერის დროს ბავში მივაჩვიოთ ასოს ისეთ სახეს, რომელსაც იგი აუცილებლად უნდა გადავაჩვიოთ კითხვის შესწავლის დროს. ცხადია ეს არ არის სასურველი.

ზემოთხსენებული სპეციალური კომისიის მიერ კი ახალი შრიფტის პროექტებით დატოვებულია ძველი სახით ზოგიერთი ისეთი ასო, რომლის გამარტივებაც აუცილებლად შეიძლებოდა, (მაგ. ბ, ზ, ჯ, ხ და სხვ.) ამის გარდა ზოგიერთი ასოსათვის ზედმეტი ელემენტიც კი მიუკერებიათ როგორც მაგალითად ასო „პ“-ს აქვს ზედა თავი მარჯვნივ გადახრილი ხამუტის მსგავსად, ასო „წ“-ს დაწვრილებული აქვს ქვედა ნაწილი და სხვა, როცა შეიძლება ეს ზედმეტი ნაწილები სრულიად მოგვეშორებინა ამ ასოებისათვის და აწმყო ფორმაში მაინც დაგვეტოვებინა, თუ ახალს არაფერს მიუმატებდით. ეს გარემოება, ჩვენ ვფიქრობთ არ შეცვლიდა ასოს სიმეტრიულ დამოკიდებულებას კვადრატში.

მთავარი ნაკლი რომელიც ჩვენის აზრით, თან ახლავს კომისიის მიერ წარმოდგენილ ახალ ასოებს, და მიუღებელია პედაგოგიური თვალსაზრისით, არის ის რომ, **აქ შეკვეცილია ასოს პერიფერია**, რომელსაც ესოდენი მნიშვნელობა აქვს კითხვის მექანიზმის დროს, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ.

**მეორე ნაკლი** გამოიხატება იმაში, რომ ასოს ზემო და ქვემო ელემენტების ღერძს შეადგენს ირიბი ხაზი და არა სწორე ხაზი. ეს კი აძნელებს როგორც ასოს დაწერას, ისე ყოვლად შეუძლებლად ხდის მის გადაბმას სხვა ასოებთან მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ახალი ასო „ვ“ და ახალივე „რ“ გადაბმა.*) პირველი მათგანის ქვედა პერიფერია შემოკლებულია ნახევარჯერ და ირიბათაა წაწვენილი მარცხნივ, ხოლო მეორეს კი სწორე ზემო ხაზის მაგივრად მრუდე ხაზი აქვს მარჯვნივ გადახრილი და განა შესაძლებელია ასეთი ასოების გადაბმა კალმის აუღებლად ან და ექნება თუ არა ასეთ გადაბმულ ასოებს რაიმე ესთეტიური ღირებულება? რა თქმა უნდა არა.

**მესამე ნაკლი** იმაში მდგომარეობს რომ ბავში და თუ გნებავსთ მოზარდიც ვერ დაიცავს იმ უპროპორციო სიმეტრიას, რომელსაც მოითხოვს ასოს დაწერა. გაცილებით ადვილია და სწრაფადაც დაიწერება ისეთი ასო, სადაც ცენტრის და პერიფერიის ზომა თანაბარია, ვიდრე ისეთის, სადაც პერიფერია ცენტრის ნახევარსაც არ უდრის. აქ საჭიროა უფრო მეტი სიფრთხილე და დაკავშირება კალმის მოქნევის დროს, რომ ასოს ელემენტების რთული სიმეტრია არ დაირღვეს. ბავშის განუვითარებელი ხელისათვის გაცილებით ადვილია დასწეროს აწმყო „ვ“ და „ქ“ ვიდრე იგივე ასოები ახალი ფორმით.

ამის შემდეგ საჭიროა ახალი პროექტით წარმოდგენილი შრიფტი დაფასებულ იქნეს ესტეტიური თვალსაზრისით რის შემდეგაც აღმოვაჩენთ, რომ იგი ამ მხრივ სრულიად მიუღებელია.

სასკოლო მეცადინეობის პირველ წლებში, სხვათა შორის, ჩვენ მიზანს შეადგენს ბავშის ესთეტიურ ემოციონალური გრძნობების აღძვრა. და ძალიან სასურველია საკითხავი შრიფტიც ხელს უწყობდეს ესთეტიური აღზრდის მიზნის სრულ-ყოფას. ამ მხრივ კი ახალი შრიფტი სრულებით არ გამოდგება. ვერავითარ სილამაზეს და შესაფერ ფორმებს ვერ აღმოვაჩენთ მასში და როგორც ასეთს, მეოთხე დიდ ნაკლად ესეც უნდა ჩაეთვალოს.

უკანასკნელად გვსურს აღვნიშნოთ, რომ ერთ პატარა წერილში შეუძლებელია ყოველივე ითქვას იმის შესახებ, რაც წლობით ნაფიქრი და ნამუშევარია.

მხოლოდ საჭიროა შრიფტის რეფორმის საკითხი გადატანილ იქნეს კულისებიდან ხალხში, ფართო პედაგოგიურ წრეებში და მათგანაც მოვისმინოთ საჭირო დარიგებანი.

**გ. თავზარაშვილი.**

*) აქ ნიმუშისათვის საჭირო იყო ამ ახალი ასოების ფორმის მოყვანა, მაგრამ კლიშე ვერ ვიშოვნეთ.

გ. თ.

## აფთიაქების შესახებ*)

როგორც ვიცით, საქართველოში საბჭოთა ხელის უფლების დამყარებას მოყვა დიდი ცვლილება სააფთიაქო დარგში—ბოლო მოეღო აფთიაქების კერძო მფლობელობას.

ბრძოლა აფთიაქების განსაზოგადოებრივობაზე ნაციონალიზაციის თუ მუნიციპალიზაციის სახით წარმოებდა მთელი რუსეთის მაშტაბით რევოლიუციამდე ბევრად უფრო წინად, მაგრამ მისი ცხოვრებაში გატარება შესძლო მხოლოდ საბჭოთა ხელის უფლებამ და ამ ჟამად ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა საბჭოთა აფთიაქების ორგანიზაცია-წარმოების სათანადო სიმაღლეზე დაყენებასა. საბჭოთა აფთიაქების არსებობას საქართველოში აქვს უკვე წლინახევრის ისტორია. ამ შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში საბჭოთა აფთიაქებმა განვლო ორი სხვა და სხვა პერიოდი. პირველი პერიოდი დღიდან გაეროვნებისა მიმდინარე წლის პირველ მარტამდე, ხასიათდება წამლების უფასოდ გაცემით თითქმის ყველაზე. აქ საბჭოთა აფთიაქების წინაშე იდგა მხოლოდ ერთი ამოცანა. ეს იყო მცხოვრებთა წამლობითი მოთხოვნილების ღირსეულად და უფასოდ დაკმაყოფილება. რა თქმა უნდა, საექიმო და წამლობითი მოთხოვნილების საქმე სახელმწიფოში მაშინ იქნებოდა იდეალურად მოწყობილი, როდესაც ასეთი დახმარება ყველასათვის ერთნაირად ხელმისაწდომია და ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც იგი უფასოა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჰამა ქონებაზე არის დამოკიდებული“ და ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ამ გზით სვლამ განსაკუთრებით სააფთიაქო დარგში და ისიც დღევანდელი ეკონომიურ პირობებში ვერ მოგვცა სასურველი შედეგები. სულ რამოდენიმე თვის განმავლობაში განაფ გურდა საბჭოთა აფთიაქების მთელი მარაგი და ჩვენ გვახსოვს, რომ უფასოდ კი არა, საფასურითაც ვერ ვშოულობდით საჭირო წამლებს აფთიაქებში. გამოსავალი ამ მდგომარეობიდან იყო ნაპოვნი ა-წ. 1 მარტიდან საბჭოთა აფთიაქების წარმოების სამეურნეო წესზე გადაყვანაში, რომელსაც მოყვა რა წამლების უფასოდ გაცემის აღკვეთა, დასვა ამ აფთიაქების წინაშე მეორე ამოცანაც, სახელდობრ, თავის არსებობის გამართლება თავისივე შემოსავლით. რა თქმა უნდა საბჭოთა აფთიაქების წარმოების ახალ წესზე გადაყვანით გამოწვეულმა წამლების ფასდადებით გაცემამ მათი ქონებრივი მდგომარეობა შედარებით გააუმჯობესა და მით საშუალება მისცა მათ დანიშნულების უფრო პირნათლად შესრულებისა, მაგრამ ის იმედები, რომ აფთიაქებმა თავიანთი შემოსავლით შესძლონ თავიანთი გასავლის სავსებითი დაფარვა, როგორც ვიცით, არ გაგვიმართლდა განსაკუთრებით პერიფერიებში და უკვე დაისვა საკითხი დეფიციტიანი აფთიაქების იჯარით გაცემის შესახებ.

თავის თავად ცხადია, ეს გზა არ იქნება მისაღები. უნდა გამოინახოს ის ზომები, რომელნიც გააჯანსაღებენ აფთიაქებს არა მოიჯარადრეთა, არამედ სახელმწიფოს ხელში. ეს კი შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც საბჭოთა აფთიაქები ყოველმხრივ ჩაყენებული იქნებიან ისეთ პირობებში, როგორიც შეეფერებიან ყოველგვარ სამეურნეო წესზე გადაყვანილი წარმოებას. დღემდის ეს პირობები იყო ისეთი, განსაკუთრებით პერიფერიებში, როგორიც არ უნდა ყოფილიყო. ზედმეტია ლაპარაკი განსაზოგადოებრივებულ აფთიაქების არსებობის პირველ პერიოდზე.

ჩვენ სახეში გვაქვს მეორე პერიოდი და ის პირობები, რომელშიაც ამ სამეურნეო წარმოებაზე გადაყვანილ აფთიაქებს უხდებათ მოქმედება. როგორი არის ეს პირობები?

**პროვინციელი**

(დასასრული იქნება)

*) წერილი გამოგზავნილია ფარმაცევტთა ყრილობისათვის მაგრამ დაგვიანებით მივიღეთ. ვბეჭდავთ მაინც, ვინაიდან მეტად სერიოზულ საკითხს ეხება.

რედ.

## „ქართველი მუსლიმანების სულიერი ვითარება“

**საკითხი მე-77.** ვექფის შემოსავლით მოსარგებლე შენაპირი მხარე, არსებითად და დამვექფელის რწმენითაც, უფალთან დამაახლოებელ და მათაყვანებელ საშუალებათა მიზნების დარგებიდან უნდა იყოს აუცილებელი. ასე რომ ვექფის შემოსავლით მოსარგებლე შენაპირი მხარე არსებითად და დამვექფელის რწმენითაც, თუ არაა უფალთან დამაახლოებელ და მათაყვანებელ საშუალებათა მიზნების დარგებიდან, მათ სასარგებლოდ რაიმეს დავექფვა, არაა სწორი და კანონიერი.

მაგალითად: სჯულმდებლობის და ზნეობის საწინააღმდეგო მხარეთა სასარგებლოდ რაიმე დავექფვა არაა სწორი.

ამავე დროს ვექფის შემოსავლით მოსარგებლე მხარე, არსებითად რომ იყოს უფალთან დამახლოებელ და მათაყვანებელ საშუალებათა მიზნების დარგებიდან და არა დამვექფელის რწმენით, ანუ დამვეკლის რწმენით ვექფის შემოსავალით მოსარგებლე შენაპირი მხარე, უფალთან დამაახლოებელ და მათაყვანებელ საშუალებათა მიზნების დარგებიდან რომ იყოს და თუ შენაპირი მხარე არსებითად—არა, ვექფი არ იქმნება სწორი და კანონიერი.

**საკითხი მე-78.** ვექფის შემოსავალით მოსარგებლე შენაპირი მხარის აღნიშვნა და განსაზღვრა არაა აუცილებელი. ასე რომ ვინმე პირმა თავის რაიმე ეყარი (შემოსავლიანი ქონება) რომ დავექფოს, ვექფის შემოსავალით მოსარგებლე პირი ანუ შემოსავილით მოსარგებლე შენაპირი მხარე თუნდაც არ აღნიშნოს, ვექფი მაინც იქმნება სწორი. მაგრამ ასეთი დარგის ვექფის შემოსავალი მოხმარდება მხოლოდ ღარიბთა სასარგებლოდ.

**საკითხი მე-79.** ვექფის შემოსავალით მოსარგებლე შენაპირ მხარის აღრიცხვა არაა აუცილებელი. მაგალითად: ვინმე პირმა თავის რომელიმე ეყარი, (საცხოვრებელი ბინის გარდა სხვა შემოსავლიანი ქონება, მამული და სხვ.) რომ დავექფოს, შემოსავალი მისი თანახმად ვექფის პირობისა საერთოდ, ღარიბთა სასარგებლოდ, რომ გადაედოს, ვექფი იქმნება სწორი და კანონიერი.

**საკითხი მე-80.** მაგალითად, ვინმე უშვილომ ჯერ თავის რომელიმე ეყარი რომ დავექფოს და შემოსავალი ეყარისა დასაბადებელი - შვილის სასარგებლოდ პირობით რომ გადასდოს, ვექფი იქმნება სწორი და კანონიერი.

აგრეთვე ვინმე პირმა. სალოცავ და სკოლებივით რაიმე საქველო ნაშთების აგებისთვის, რომელიმე ადგილი რომ დაამზადოს. ხოლო აღნიშნულ ადგილზე ასაგებელ ნაშთების მოშენებამდე, ჯერ თვისი ქონებიდან რაიმე ეყარი, შონება, ნაშთების სასარგებლოდ რომ დავექფოს, ვექფი იქმნება სწორი. ხოლო ხსენებულ ნაშთების აგების შემდეგ, აღნიშნული ვექფის შემოსავალი, თანახმად ვექფის პირობისა, მიეჩინება, ხსენებული ვექფის შენაპირ მხარეს.

ამგვარად, დამვექფელის შვილის დაბადებამდე და მოსაშენებელი ნაშთების აგებამდე, ვექფის შენაპირ მხარეთა სასარგებლოდ მიჩენილი ეყარის შემოსავალი, მოხმარდება ღარიბთა სასარგებლოდ. ასეთი დარგის ვექფებს, რომელთაც არ მოვლინებიათ შემოსავალით, მოსარგებლე შენაპირი მხარეები ეწოდება, („პირველ შეწყვეტილი ვექფი“).

რომელიმე დავექფულის შემოსავალით მოსარგებლე შენაპირი მხარე, პირველ ხანაში რომ არსებულიყოს და შემდეგ იგი რომ მოისპოს, მსგავს ვექფებს ეწოდება „ბოლოშეწყვეტილი ვექფი“ მაგალითად: ვინმე დამვექფელმა ვექფის შემოსავალი თავის მემკვიდრეთა სასარგებლოდ პირობით რომ გადასდოს და მისმა მემკვიდრეებმაც ხსენებული ვექფის შემოსავალით ერთ ხანს რომ ისარგებლონ და შემდეგ უშვილოდ რომ გარდაიცვალონ, დამვექფელის მემკვიდრეობის მოსპობის გამო, მსგავს ვექფებს ეწოდება „ბოლო შეწყვეტილი ვექფი“.

მე-82. რომელიმე დავექფულის შემოსავალით მოსარგებლე შენაპირი მხარე, პირველ ხანაში, რომ არსებულიყოს და შემდეგ მოსპობილი, თანათხმად ვექფის პირობისა, ვექფის შემოსავალის სარგებლობის მოსარგებლე, თუ ვინმე მემკვიდრე აღმოჩნდება, მსგავს ვექფებს, „შუა შეწყვეტილი ვექფი“ ეწოდება. მაგალითად: ვინმე დამვექფელმა ვექფის შემოსავალი თავის მემკვიდრეთა შორის მხოლოდ მამრობითი სქესის სასარგებლოდ პირობით რომ გადასდოს და მის მემკვიდრეთაგან მამაკაცმაც, თანახმად ვექფის პირობისა, ხსენებული ვექფის შემოსავალით რომ სარგებლობდეს, გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრედ ქალიშვილი რომ დარჩეს, მაშინ დავექფულთან შესოსავალით მოსარგებლე შენაპირი მხარის დამოკიდებულებაც სწყდება. ხოლო თავის მემკვიდრე ქალიშვილს თუ შემდეგ ვაჟიშვილი მიეცა, უკანასკნელი ხსენებული ვექფი შემოსავალის მოსარგებლე ხდება. რისთვისაც მსგავს ვექფებს, „შუა შეწყვეტილი ვექფი ეწოდება.

რა დარგისაც უნდა იყოს: პირველ შეწყვეტილი, შუა შეწყვეტილი თუ ბოლო შეწყვეტილი ვექფია, თუ შემოსავლის მოსარგებლე შენაპირი მხარე მას მოევლინა, თანახმად ვექფის პირობისა, შემოსავალი ვექფისა მიეჩინება მას. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მსგავსი ვექფების შემოსავალი, მოხმარდება ღარიბთა სასარგებლოდ. ვექფის შემოსავალით მოსარგებლე შენაპირი მხარის მოდგმის მოსპობის შესაძლებელ ვექფებში დამვექფელმა რომელიმე მარადიული მხარე უნდა აღნიშნოს და განმარტოს.

**საკითხი მე-83-ე.** ვექფის შემოსავალით მოსარგებლე შენაპირი მხარის მოდგმის მოსპობის შესაძლებელ ვექფებში, დამვექფელმა ვექფისათვის რომელიმე მარადიული მხარე უნდა აღნიშნოს. მაგალითად: როცა ვინმე, თავის ქონების შემოსავალს, თავის შთამომავლობის უწეოთა, ღარიბთა სასარგებლოთ დავექფვას რო განიძრახავს, „ჩემი შთამომავლობა თუ მოისპო და ვექფის პირობების სისრულეში მოყვანა შეუძლებელი გახდა, იმ შემთხვევაში ჩემ მიერ დავექფული ქონების შემოსავალი საერთოდ ღარიბთა სასარგებლოდ იქმნენ მიჩენილი“. უნდა სთქვას და სავექფოშიაც ასეთი მსგავსი მარადიული მხარე უნდა აღნიშნოს და ჩაუმატოს.

### ნაწილი მე-3

### სწორი და არა სწორი ვექფები

**საკითხი 84.** ვინმე პირმა სხვისგან ნასყიდი, შეკუთრებული რაიმე ქონება, თავის სარგებლობაში, მფლობელობაში შეუტანელად, რაიმეს სასარგებლოდ რომ დავექფოს. ვექფი იქმბა სახეში მიღებული, თუ ხსენებული ქონების ფასი და ღირებულება, გამყიდველის, ესე იგი, გამსაკუთრებელის მიერ არის მიღებული და შემკუთრებელის მიერ არის ისე დაკისრებული, იმ შემთხვევაში ვექფი იქნება სწორი და თუ ღირებულება შეკუთრებული ქონებისა არაა გადახდილი, მაშინ ღირებულების გადახდამდე, ვექფი რჩება ამაო და შეჩერებული. ხოლო ღირებულების გადახდის შემდეგ, ვექფი იქნება სწორი და ცხოვრებაში გატარებული.

**საკითხი მე- 85.** თუნდაც არა სწორი და წარხდომილი ნასყიდობითაც იყოს მუშტარის მიერ შეკუთრებული ქონება თუ უკვე მიღებული აქვს, დავექფვა მისი არის დაშვებული. ამ გვარად, შეკუთრებული ქონების დავექფვის შემდეგ, გამსაკუთრებელს არა აქვს უფლება დაარღვიოს ნასყითობა. მაგრამ დამვექფელი ვალდებულია გადაუხადოს ხსენებული ქონების ღირებულება გამსაკუთრებელს. ხოლო მუშტრის მიერ არა სწორი და წარხდომილი ნასყიდობით რაიმე ქონება, თავის უფლებაში გადმოტანაზე უმალ დავექფვა არაა დაშვებული.

არის სწორი, წარხდომილი ჩუქება და განსაკუთრება, ერთი და იგივე მცნების არის.

**საკითხი მე-86.** ბათილი ნასყიდობით შეკუთრებული ქონება. თუნდაც თავის მფლობელობაში იყოს შეტანილი, დავექფვა მისი მაინც არ იქმნება სწორი და კანონიერი. მაგალითად: ვინმე პირმა, რომელიმე ობოლის ეყარი, თავის ღირებულებაზე შეუდარებლად ფასში, ობოლის ჭირისუფალის, ანუ მზრუნველისაგან რომ შეისყიდოს, შეისაკუთროს და შემდეგ იგი ეყარი, რაიმეს სასარგებლოდ რომ დავექფოს, ვექფი მაინც არ იქნება სწორი და კანონიერი. ამის მიხედვით ობოლი, როგორც შეიქმნება სრული წლოვანი, ხსენებულ დავექფულ ეყარს, დაიბრუნებს ვექფის მოურავის მფლობელობისაგან. აგრეთვე ვინმე პირმა უცილოდ დავექფული ქონება, რომ შეისაკუთროს და შემდეგ იგი, რომ დავექფოს, ვექფი ბათილია და არა სწორი.

ვინმე პირმა, ბეითელ-მალ-თან, (საფინანსო სალაროსთან) დამოკიდებული, რაიმე ქონება, თავის ღირებულებაზე შეუდარებლად ნაკლები ფასით ბეითელ-მალ-ის მმართველისაგან რომ შეისაკუთროს და შემდეგ იგი რაიმეს სასარგებლოდ, რომ დავექფოს, ვექფი ბათილია და არა სწორი.

**საკითხი მე-87.** ვინმე პირმა განსაზღვრულ დრომდე, თავის ნება-სურვილზე დამოკიდებულებით, ესე იგი, მონებებით, შესყიდული, შეკუთრებული და თავის მფლობელობაში შეტანილი რაიმე ქონება, თავისი ნება-სურვილის გამოცხადების დრომდე, ესე იგი, სანებელი ვადის დამთავრებამდე, რომელიმე მხარის სასარგებლოდ რომ დავექფოს, ეკფი იქმნება სწორი, და „მონებება“-კი, ბათილი.

აგრეთვე ვინმე პირმა, განსაზღვრულ ვადამდე, თვის მიერ „მონებებით“ გასაკუთრებული რაიმე ქონება, „სანებელი“ ვადის დამთავრებამდე რაიმეს სასარგებლოდ რომ დავექფოს, გასაკუთრება იქმნება ბათილი და ვექფი კი სწორი.

**საკითხი მე-88.** რომელიმე პირმა, სხვის მიერ უკვე დავექფულ სამოსახლო მიწაზე ვექფის მზრუნველის მიერ ნების დართვით რაიმე შენობა რომ ააგოს და ვისიმეს სასარგებლოდ და დავექფოს, ვექფი იქნება სწორი და კანონიერი.

აგრეთვე ვინმე პირმა, მიწა—ადგილით თავის კუთვნილი შენობა, ეყარი, მიწა-ადგილი და თავის საკუთრებაში დაიტოვოს და ზედ აგებული შენობა რომ დავექფოს, ვექფი მაინც არ იქმნება სწორი.

მსგავსი გარემოებით აგებული შენობა, ჯირკვი, კუნძი, და მოშენებული ხეები, ერთი და იგივე მცნების შინაარსის არიან.

**მემედი აბაშიძე.**

(გაგრძელება იქნება)

## განცხადება

### ვინაიდან ის წესი, რომლის მეხედვითაც მუშა-მოსამსახურენი,

(პროფკავშირის წევრები) და სამხედრო მოსამსახურენი იხდიდნენ სამოქალაქო გადასახადს, შეცვლილ იქმნა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და ქალაქის აღმასკომის დადგენილებებით 30 დეკემბერს 1922 წ. რომლის მიხედვითაც მუშა-მოსამსახურეებისათვის გადასახადის რაოდენობის ზომათ მიღებულ იქმნა წინანდელ სატარიფო ქსელის მაგიერ დეკემბრის რეალური ხელფასი, რის გამო საჭიროა სათანადო ცვლილების შეტანა პროფკავშირებიდან და სამხედრო დაწესებულებიდან მისაცემ სპეციალურ მოწმობებში,—ქალაქის აღმასკომი აცხადებს

1.გადასახადის შემოტანა საურავ გადაუხდელათ და დეკემბრის კურსით გაგრძელდეს ყველასათვის 7 იანვრამდე თან ჩათვლით.

2. მუშა-მოსამსახურენი და სამხედრო მოსამსახურენი მოვალენი არიან 7 იანვრამდე აიღონ სათანადო პროფკავშირებიდან სპეციალური მოწმობები, მათი ხელფასის აღნიშვნით, რომლებიც სახლის წიგნებთან და პირადობის დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქმნეს 7 იანვრამდე საუბნო კომისარიატების სამისამართო მაგიდეებში გადასახადის თანდართვით, თანახმად ქალ. აღმასკომის დადგენილებისა № 15 დეკემბრის 19.

თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე.**

მდივანი **ხუნდაძე.**

№ 255 1—1

## მთავრობის მოქმედება და განკარგულებანი

### დადგენილება № 28

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა: სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან სიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარ კომიტეტის“ დაარსების შესახებ.

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული „საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი. გადაკეთებულ იქნეს „საქართველოში შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარ კომიტეტად“—ამავე ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან.—შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარეთ—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, წევრებად—თითო პასუხისმგებელი წარმომადგენელი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატებისა და სხვა დაინტერესებულ უწყებათა და ორგანიზაციებისა.

**შენიშვნა:** აფხაზეთის ფედერატიული რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და სამაზრო დამშეულთა დამხმარე კომიტეტები აგრეთვე გადაკეთებულ იქნეს შიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის კომიტეტებად—მათი ძველი შედგენილობით.

2. სიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის თავარი კომიტეტი არის უმაღლესი ორგ-

ცნიერო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

**ცხაკაიას** შემოაქვს წინადადება—30 დეკემბერი გამოაცხადონ უქმე დღეთ.

ყველა წინადადებას ღებულობენ ერთხმად.

ამტკიცებენ საკავშირო ცაკის შემადგენლობას. საკავშირო ცაკის საერთო რაოდენობა უდრის 371 კაცს, 138 კანდიდატით. წევრების რიცხვში შედიან: საბჭოთა რუსეთიდან—270, უკრაინიდან—68, ამიერ-კავკასიიდან—26 და ბელორუსეთიდან—7.

კალინინის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობა დაიხურა.

# ლოზანას კონფერენცია

**მოსკოვი** 2 იანვარი. 28 დეკემბერს ლოზანაში შესდგა კაპიტულიაციების ქვეკომისიის პლენარული სხდომა. მომხსენებელმა განაცხადა, რომ ოსმალებმა ქვეკომისია ჩიხში მოამწყვდიეს, მან აღნიშნა, რომ მოკავშირეები არ ენდობიან ოსმალეთის სასამართლოს იმ საკითხებში, რომელიც უცხოელებს ეხება. ისმეტ-ფაშამ უპასუხა, რომ მოკავშირეების შიში უსაფუძვლოა და რომ ოსმალეთში ამ ჟამად ისეთივე წესწყობილებაა, როგორც სხვა ქვეყნებში.

შემდეგ გამოვიდა კერზონი, რომელმაც აღნიშნა ისმეტ-ფაშის შეურიგებელი პოზიცია და განაცხადა, რომ შემდეგი მოლაპარაკება სრულიად უნაყოფო იქნება, თუ ოსმალები მომავალშიაც დაადგებიან შეურიგებლობის პოლიტიკას ამერიკის წარმომადგენელმა ჩაილდმა განაცხადა, რომ ის უერთდება მოკავშირეების შეხედულებას.

**იანვ. 2,** ინავ. ლოზანადან 29 დეკემბერს, იტყობინებიან: „ ლოზანაში მდგომარეობა უცვლელია . ინგლისის უკანასკნელი ნოტის საპასუხო მემორანდუმში ისმეტ-ფაშა იცავს თავის წინანდელ მოთხოვნილებას მოსულის ოსვალეთვისათვის დატოვის შესახებ.

— „ჩიკაგო ტრიბუნას“-ს კორესპონდენტს ისმეტ-ფაშამ განუცხადა, ინგლისი ცდილობს აიძულოს ოსმალეთი უარი სთქვან მოსულზე და ამ მიზნით გართულებებს ქმნის სხვა საკითხებში. ეს ცდა უშედეგოდ ჩაივლის, რადგან ოსმალეთს მტკიცედ გადაწყვეტილი ა ქვს არ დაუთმოს არაფერი სრუტეების საკითხი.

— ლოზანაში ოსმალეთის დელეგატებმა რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადეს, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდებიან საზავო ხელშეკრულობის უცხოელთათვის გარანტიების მუხლის შეტანაზე. ოსმალეთის დელეგატებმა მოკავშირეებს მოსთხოვეს განმარტება ინგლისის ფლოტის გადაჯგუფების შესახებ.

**დიდ ეროვნულ კრებაში**

**მოსკოვი, 2** იანვ. ამ დღეებში გამოვიდა გასან-ბეი დიდ ეროვნულ კრებაში მოხსენებით ლოზანას კონფერენციის შესახებ, ფიქრობენ, რომ ანგორის ნაციონალისტები მოითხოვენ მოსულის ნავთის ტერიტორიის ოსმალეთისათვის დატოვებას.

ანგორის გარეშე საქმეთა მინისტრმა რეთეფ-ბეიმ სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა ეროვნულ კრებაში. განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთი გულწრფელად მიისწრაფის ზავისაკენ, ლოზანაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა. შეიძლება ჩვენ არმიას მოუხდეს ბრძოლა ჩვენი კანიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

**ოსმალოების დაჟინებითი მოთხოვნილების გამო**

**ჰანოვერი.** 31 დეკემბერი. 29 დეკემბერს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კომისიის სხდომაზე ინგლისელებმა ოსმალოების წინააღმდეგობისა და დაჟინებითი მოთხოვნილების გამო, იძულებული იყვნენ უკან წაეღოთ თავიანთი წინადადება ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კომისიაში ერთა ლიგის წარმომადგენლობის შესახებ.

**რუსეთის მემორანდუმი**

**ბორდო** 31 დეკემბერი. რუსეთის დელეგაციამ წარადგინა კონფერენციაზე მემორანდუმი, რომელშიაც მოყვანილია რუსეთის მოთხოვნილებები. კონფერენციის ყველა საკითხებში მისი მონაწილეობის შესახებ. მემორანდუმი აკრიტიკებს მოკავშირეების მიერ წარმოდგენილ ყველა დებულებებს ახლო აღმოსავლეთში ზავის ჩამოგდებისათვის.

**ამერიკის მოთხოვნილებანი**

**ბორდო.** 31 დეკემბერი. „ტან“-ის ცნობების მიხედვით ამერიკის წარმომადგენელმა ჩაილდმა შეიტანა უმცირესობათა დაჯვის ქვე-კომისიაში. ნოტა, რომელშიაც ის მოთხოვს ოსმალეთის ეროვნულ უმცირესობათათვის ეროვნულ კერების დაარსების.

**ისეთივე სართულვ**

**ლონდონი** 31 დეკემბერი. კონფერენციაზე მდგომარეობა ისეთივე რთულია. მოკავშირეების წრეებში ფიქრობენ, რომ ოსმალოები ცდილობენ ისარგებლონ დროით, ელოდებიან რა პარიზის თათბირის შედეგებს.

**ჩიჩერინის განცხადება**

**ნაუენი** 31 დკეემბერი. ჩიჩერინმა ამერიკელ კორესპოდენტებს ლოზანაში განუცხადა, რომ თუმცაღა ჯერ-ჯერობით განხორციელდა რუსეთის იმედები შავ ზღვაზე მშვიდობიანობის დამყარებისათვის. ვინაიდან რუსათის წინადადების მიუხედავათ რომლითაც შეიძლებოდა მშვიდობიანობის დაცვა მოკავშირეები აყენებენ მუდმივ საომარ მუქარის სისტემას. რუსეთი მაინც არ ჰკარგავს იმედს, რომ მიაღწევს თავის მიზანს—ნამდვილ მშვიდობიანობის ჩამოგდებას.

**საბერძნეთის ჯარების კონცენტრაცია**

**ბორდო** 31 დეკემბერი. საბერძნეთის ცნობების მიხეძვით, საბერძნეთის მთავრობა დროშის ქვეშ რაზმავს 3 ჰასაკიან ჯარს. ზოგიერთი გაზეთები იტყობინებიან რომ ფრაკიაში ხდება საბერძნეთის ჯარების კონცენტრაცია, რაც აიძულებს ოსმალოებს მიიღონ თავის მხრივ სათანადო ზომები.

**ინგლისის ფლოტის დემონსტრაცია**

**რომი** 31 დეკ. როგორც ფიქრობენ ინგლისის ესკადრა გავიდა ბალტიიდან სტამბოლში, რათა მოახდინოს დემონსტრაცია.

**კერზონის განცხადება**

**ბორდო** 31 დეკემბერი. ლორდ-კერზონი მიემგზავრება პარიზში ბონარ ლოუსთან შესახვედრაო. კონფერენციის ტეხნიკური კომისია განაგრძობს მუშაობას.

# უცხოეთი

**იტალია და კონფერენცია რეპარაციების შესახებ**

**მოსკოვი** 2 იანვარი. იტალიის მინისტრთა საბჭოს თათბირზე, მუსოლინმა განაცხადა, რომ მან გადასწყვიტა არ გაემგზავროს პარიზში კონფერენციაზე რეპარაციების შესახებ შემდეგი მიზეზების გამო: მას არ შეუძლია დასტოვოს იტალია არსებულ გამწვავებულ მდგომარეობაში, საზღვარ-გარეთ მას უფრო სთვლიან ფაშიზმის ბელადათ, ვინემ იტალიის პრემიერად, რამაც შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდოს ის სახელმწიფო, რომელიც მას სტუმართმოყვარეობას გაუწევს და დაბოლოს, ის არ ფიქრობს, რომ პარიზში მიხვეულ იქნება სწრაფი შეთანხმება.

**მოკავშირეების საჰაერო ძალები**

**მოსკოვი** 2 იანვარი. ინგლისის მთავრობის ცნობით საფრანგეთს ჰყავს 900 ჰაეროპლანი, ინგლისს კი 180. „მანჩესტერ გარდიენი“ სწერს, რომ თუმცა საფრანგეთის საჰაერო ძალები გერმანიის წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ ადვილად შეიძლება მათი ინგლისის წინააღმდეგ გამოყენებაც თუ საფრანგეთი არ შეამცირებს თავის სამხედრო ძალებს, ინგლისელები იძულებულ იქნებიან გაადიდონ ინგლისის სამხედრო ჰაეროპლანების რიცხვი.

**მიუნხენის ნაციონალისტები**

**მოსკოვი** 2 იანვარი. მიუნხენში ნაციონალ-სოციალისტებმა მთელი ქალაქი მშემოიარეს უსიკით. მათი ბელადი მოუწოდებდა მათ სოციალისტების საწინააღმდეგო ბრძოლისაკენ.

**ნორვეგიაში**

**მოსკოვი** 2 იანვარი. ნორვეგიის პროფკავშირთა ცენტრალურმა ორგანიზაციამ დაადგინა ჩამოშორდეს ამსტერდამს· პროფკავშირთა მომავალმა ყრილობამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი პროფინტერთან გაერთიანების შესახებ.

**პოლონეთში**

**მოსკოვი** 2 იანვარი. 30 დეკემბერს დაიწყო სასამართლოს პროცესი ნარუტოვიჩის მოკვლის შესახებ.

— პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრი იმუშავებს პროექტს პოლონეთში 1920 წლის ოქტომბერს შემდეგ შეხიზნულ ემაგრანტების საჩქაროთ გაძევების შესახებ ოქტომბრის რევოლიუციამდე შეხიზნულ ემიგრანტებს კი ეძლევათ უფლება პოლონეთში დარჩენისა მხოლოდ ერთი წლის ვადით ემიგრანტები, რომლებიც დაამტკიცებენ, რომ ისინი გამოიქცენ რუსეთიდან პოლიტიკური მიზეზების გამო არ იქნებიან გაძევებულნი.

**უმუშევრები ინგლისში**

**მოსკოვი** 2 იანვარი. ტრედ-უნიონების საბჭომ ინგლისში მიმართა მუშათა ყველა ორგანიზაციებს მოწოდებით მოაწყონ მთელ მხარეში 7 იანვრისთვის უმუშევართა, მუშათა პარტიების და პროფკავშირების პროლეტარული დემონსტრაცია.

# ახალი ამბები

— **„საქართველოს კალენდარი“** რედაქციამ მიიღო „საქართველოს კალენდარი“ გამოცემული შ. ს. კომისარიატის მიერ. კალენდარი პატარა ფორმატისაა და შეიცავს 200-დე გვერდს. კალენდარში მოთავსებულია ძვირფასი მასალები საქართველოს ცხოვრების შესახებ.

**შეცდომის გასწორება**

1 იანვრის ნომერში ამხ. სერ. ამაღლობელის წერილში შეპარულა შემდეგი კორექტურული შეცდომა, სწერია ...„ინგლისის შემოსავალი ამერიკის შემოსავლის მხოლოდ ერთ მერვედს უდრის„ უნდა იყოს ...„მხოლოდ ერთ **მეხამედს** უდრის“.

# საქ. სამეც. დაწესებულებათა სამმართველოს მუშაობა.

(დასასრული*)

**ბოტანიკური განყოფილება.**

უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში, მთელი მასალა ტარდებოდა სადეზინფექციო კამერაში, წელიწადში სამჯერ.

ბ. შიშკინმა დაბეჭდა 5 წერილი საქართველოს და კავკასიის მცენარეულობის შესახებ. შვიდი წერილი დამზადებულია დასაბეჭდად, განყოფილებაში სამუშაოდ მოწვეული იქმნა ნ. ვორონიხინი „სპორის“ (споровых) მცენარეების ქვეგანყოფილების დასაარსებლად. ასისტენტმა ე. ქიქოძის ქალმა დაამზადა დასაბეჭდათ „ატენის“ ხეობის ფლორა, ნ. ვორონიხინმა მისცა დასაბეჭდათ განყოფილების სპორის მცენარეთა სია; ვ. შიშკინმა შეასრულა რამოდენიმე ათეული ექსკურსია ტფილისის მიდამოებში, ბორჯომში, ბაკურიანში, ატენის ხეობაში, ფლორის შესწავლის მიზნით; ვ. ვორონიხინმა მოახდინა ორი ექსკურსია მანგლისისა და ბორჯომ-ბაკურიანის რაიონებში. ამ სამი წლის განმავლობიში 1920—1922 წ. წ. ბოტანიკურ განყოფილებას შეემატა 227460 გერბარის მასალის ეკზემპლიარი, შედგენილია კატოლოგი: 1) დუბლეტის მასალის, 2) საერთო გერბარის, შექმნილია „სპორის“ გერბარი.

წარდგენილია დასაბეჭდათ შემდეგი მასალები ახალი გამოკვლევანი ტფილისის მიდამოების ფლორის შესახებ“, „კავკასიის ახალი, იშვიათ მცენარეების შესახებ.“

**ზოოლოგიური განყოფილება**

განყოფილების კოლექციები წელიწადში სამჯერ ტარდებოდა გოგირდ-ნახშირბადში კამერაში, ივ. ჩხიკვიშვილმა მისცა დასაბეჭდათ: „კავკასიის ფაუნის კრიტიკული განხილვა“, რიდენკომ დაბეჭდა „დაღესტანის (суслик) კურდღელი, ა. ილინსკიმ გადასცა დასაბეჭდათ: ორი წერილი ენტომოლოგიის დარგიდან განყოფილების თანამშრომელნი აწყობდენ ექსკურსიებს, მოწყობილი იყო აგრეძვე შვიდჯერ ნადირობა მხეცებზე ყარაიაზის რაიონში. განყოფილებას შეემატა 49,757 ეგზემპლიირი 4.000 ეკზემპლიარზედ მეტი კავკასიის მხვრელებზე. ტაკსიდერმიულ ქვეგანყოფილებამ დაამზადა ჯგუფები: 1) გარეული ცხვარი, სპარსული (барусъ), ფრინველები სულ 50 ეკზემპლიარი სულ შეეძინა განყოფილებას 55,000 მეტი ეგზემპლიარი.

დამზადებულია დასაბეჭდად ი. ჩხიკვიშვილის: „ქ. ა. სატუნინის კავკასიის კუთხის ფრინველთა სისტემატიურ კატალოგის დამატებანი და შესწორებანი“.

**ეტნოგრაფიული განყოფილება.**

განყოფილების უმთავრესი ყურადღება მიქცეული იყო ვრცელ კოლექციების კოსტიუმების და სხ. ეტნოგრაფიულ საგნების შენახვა—დაცვაზე. მხატვარ ქ. ლანსერემ და მატიასევიჩმა დაამზადეს რამოდენიმე ათეული კოსტიუმი და სხვ. საგნები. 1920—1921 წ.წ. განყოფილებაში შემოსულია სულ 818 საგანი—ყველა ახლად შეძენილი საგნები შეტანილია სათანადო კატალოგში განყოფილების თანამშრომლები აგროვებდენ მასალებს ქართლის კლდიან მხარეში და ბათომის მიდამოებში.

**არქეოლოგიური განყოფილება**

განყოფილების თანამშრომლებმა წესრიგში მოიყვანეს ყველა მასალები. შემოვიდა მრავალი საარქეოლოგიო მასალები, სულ 724 საგანი.

**ბიბლიოთეკა.** ბიბლიოთეკამ ამ 1920—1922 წლებში შეიძინა 6.000 სამეცნიერო წიგნი და ადგილობრივი პერიოდული გამოცემა. ბიბლიოთეკის გამგემ გამოიმუშავა რეგისტრაციის სისტემა და განსაკუთრებულ კატალოგებში შეჰქონდა ყველა ახლად შემოსული წიგნები.

**მუზეუმების გამოცემები.** ბეჭვდის საქმის მძიმე პირობების მიუხედაეად, საქართველოს მუზეუმმა შესძლო ორი ნაშრომის და ცალკე „საქართველოს მუზეუმის უწყების გამოქვეყნება“ მუზეუმის რედაქციაში მოიპოვება ფრიად საინტერესო ნაშრომები: 1) ს. კრუკოვსკი: „პალეოლიპი—გვარჯილას კლდე“, 2) ბ. შიშკინი—„ლაზისტანის ფლორა“, 3) ნ. ყიფიანი—„ლაზისტანის გეოლოგია“, 4) სვირიდენკო—„ამიერ-კავკასიის суслик—კების სისტემატიკისათვის“, 5) ნ. ყიფიანი—„ქ. ტფილისის მიდამოების გეოლოგია“, 6) შიშკინი—„ტფილისის მიდამოების ფლორა“ და სხ.

*) იხ. ტრიბუნა.

# რა გაკეთებულა ქართულ ჯარის აღსაზრდელად?

ერთი წლის განმავლობაში მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, სამხედრო შტაბთან არსებულმა სარედაქციო საგამომცემლო განყოფილებამ გადმოსთარგმნა და გამოსცა ქვემოდ ჩამოთვლილი წიგნება, რომელიც შეუძლიათ გამოიწერონ დივიზიის ნაწილებმა და ცალკე ერთეულებმა:

1. აღწერა 3 ხაზიან შაშხანა თოფისა 1891 წ. ნიმუშისა.
2. „დარიგება შაშხანა თოფით, ყარაბინით და ლევორველით სროლისათვის“.
3. „ცხენოსან ჯარის წყობილება წესდება ნაწ. 1“.
4. „დარიგება ბრძოლაში ქვეითა ჯარის მოქმედებისათვის“.
5. „სამთო არტილერიის წყობილების წესდება (1909 წ. ნიმუშ. ზარბაზნისათვის).
5. საქვემეხო სწავლა საველე არტილერიისა.
8. დარიგება უფროსის კუთხსაზომის, ბუსოლის და დურბინდის მოხმარებისათვის.
9. „სროლის წესები 3 დმ. სამთო და საველე ზარბაზნებით შეიარაღებულ ბატარეიისათვის“.
10. სროლის წესები 1909 წ. და 1910 წ. ნიმუშის 48 ხაზიან გაუბიცით შეიარაღებულ ბატარეიებისათვის.
11. „ტყვიამფრქვევის სამასალო ნაწილის აღწერა ნაწილი 1.
12. „ტყვიამფრქვევის სამასალო ნაწილის აღწერა ნაწილი II.
13. „3 დმ. სამთო ზარბაზნის (1909 წ. ნიმუშ.) ლაფეტი.
14. „1902 წ. ნიმუშის 3. დმ. საველე ზარბაზანი, ნაწილი 1.
15. ხატნარი 3 დმ. სამთო ზარბაზნისა 1909 წ. ნიმუშისა.
16. სადისციპლინარო წესდება.
17. შინა სამსახურის წესდება.
18. ქვეითა ჯარის წყობილების წესდება.
19. დარიგება ცხენების ქედვისა ჯარში.
20. პრაქტიკული ჩვენებები საკავშირო მცირე გუნდის ორგანიზაციისა და სატელეფონო კავშირის შესწავლისათვის.
21. წესდება საველე სამსახურისა (ნახევარზედ მეტია დაბეჭდილი და ამ დღეებში გამოვა).

ამას გარდა საწესდებო კომისიამ გადაათვალიერა და დასაბეჭდად დაამტკიცა „საგარნიზონო სამსახურის წესდება“ და „საველე 3 დმ. ზარბაზანის ლაფეტი“.

ამჟამად საწესდებო კომისია არჩევს ქართულ ენაზედ ორიგინალ შრომას „ტაქტიკას“ ა. ანდრონიკაშვილის, ლ. სლინკოს და ლ. გარსიაშვილის მიერ შედგენილს. (წ. არმ.)

გ. ბ.

# ქართული შრიფტი

(გაგრძელება*)

როგორც აღვნიშნეთ ახალი პროექტით წარმოდგენილი ახალი შრიფტის ფორმა სავსებით დამაკმაყოფილებელიაქაღალდის და შრომის ეკონომიის მხრივ, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა ამ ნივთიერმა თვალსაზრისმა ისე არ გაგვიტაცოს, რომ მას ვანაცვალოდ პედაგოგიურ-დიდაქტიური პრინციპები და ამით საგრძნობლად გავართულოდ **ქართულის** კითხვის მექანიზმი, როგორც მოზრდილთათვის, ისე განსაკუთრებით მოზარდთათვის.

მთავარი მოტივი, რითაც ხელმძღვანელობენ ახალი შრიფტის შემდგენელნი, გამოიხატება იმაში, რომ მათ სურთ დაახლოვებით ერთი ზომის ასოები შექმნან რომლებიც სიმეტრიულ თანაბრობასთან ერთად, თანასწორ გვერდებიან ოთხკუთხედში (სანიმუშოდ) იქნებიან ჩასმულნი. უმთავრესი ყურადღება აქ მიქცეული აქვს ასოს ცენტრს ამ ცენტრის [illegible] სახინოებისთვის და [illegible] მოკლდება და [illegible] ასოს პერიფერია. ჩვენ ვერ შევძელით ამ წერილში მოგვეყვანა ახალი შრიფტის ნიმუშები ტეხნიკური დაბრკოლებების გამო, მხოლოდ ვინც მას გაიცნობს. აუცილებლად დარწმუნდება აღნიშნული დებულების სინამდვილეში.

ასოს ცენტრალური ფიგურა იგივე რჩება, როგორც აწმყო ასოებშია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახალში, როგორც ვსთქვით. ცენტრი უფრო გადიდებულია, პერიფერიის დამახინჯებით. როგორც ვხედავთ ამით ქართული ასოების ტრადიციული სახე ისპობა, მაგრამ დეე ყოველი ტრადიცია მსხვერპლი გახდეს ახალი იდეის, თუ ეს ახალ საქმეს გაადვილებს და გაანახლებს საერთო სარგებლიანობის და პედაგოგიური თვალსაზრისით.

მისაღებაა თუ არა, რომ ახალი ქართული შრიფტის ასოები ერთმანეთის თანასწორია და მაშასადამე ხდება მათი ნაწილობრივი ასიმილიაცია?

აი საკითხი რაც მოითხოვს პასუხს არა ეკონომისტისაგან, არამედ დაკვირვებული პედაგოგისაგან, რომელიც დღევანდელ შრიფტს უცქერის, როგორც ადვილ მასალას კითხვის მექანიზმის შეთვისებისათვის.

ქართული შრიფტის ორგინალური თვისება უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ ის თავის გარეგანი ფორმით რადიკალურად განსხვავდება ლათინური (ევროპიული) შრიფტისაგან.

მთავარი განმსხვავებელი მომენტი, რაც ჩვენს ეროვნულს-მხედრულს შრიფტს ანსხვავებს ლათინური შრიფტისაგან, მდგომარეობს იმაში, რომ აქ სჭარბობს პერიფერიული ელემენტი, რისი სიდიდეც ასოს ცენტრის სიდიდეს უდრის. მეორე თვისება კი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ასოების დიდი უმრავლესო (ოთხი ასოს გამოკლებით) თავის ელემენტებით ხაზს ქვემოთ ან ზემოთ იწერება—და ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებიან ფიგურალური ფორმით. ეს გარემოება კი ძალიან აადვილებს კითხვის მექანიზმის მიჩვევასა და სწრაფ შეთვისებას. ამ მოვლენას აუცილებლად აქვს თავისი ფსიქოლოგიური მიზეზები, რასაც ეხლავე აღვნიშნავთ.

ჩვენ ვიცით პრაქტიკული გამოცდილებიდან, რომ უფრო ძნელია ლათინური შრიფტის ასოების კითხვა ვიდრე გოთურისა*).

პირველი მომენტი ასოების გაცნობისა, უდაოა, რომ გაცილებით ადვილია ლათინური შრიფტიდან და უფრო ძნელი გოთურიდან, მაგრამ შემდეგ მომენტი კითხვისა, როგორც ვსთქვით, წინაუხმო ხდება).

ასეთივე ანაგია შეიძლება გავატაროთ ჩვენს ქართულს ახალ შრიფტსა და აწმყო შრიფტს შორის. შეიძლება ითქვას, რომ რა შეფარდებაშიაც არსეობს ლათინური და გოთური დაახლოვებით ისეთივე შეფარდებაში იქნება აწმყო და აგალი პრაექტით წარმოდგენილი შრიფტი.

რატომ ხდება, რომ გოთურის და ეხლანდელი ქართული ასოების კითხვა უფრო ადვილია როგორც დიდისთვის ისე მუშისათვის, ვიდრე ლათინურისა და ახალი ქართულისა?

ამის მთავარი მიზეზი არის ასოს ფორმის ფსიქოლოგიური ათვისება და შეგრძნება. დღეს ექსპერიმენტალურად უკვე დამტკიცებულია (ასეთი ექსპერიმენტი მოახდინა პროფესორმა დ. უზნაძემაც შარშან პედაგოგიური ინსტიტუტის, ფსიქიურ კაბინეთში), რომ **ბავშის და მოზრდილის ცნობიერების არეში კითხვის დროს, უფრო ადვილად იჭრება ასოს პერიფერია და არა ცენტრი.** გაცილებით ნაკლები დაკვირვების ენერგიაა საჭირო აწმყო ქართულის და გოთური ასოების ფორმის შესაგრძნებლად, ვიდრე ლათინურისა და რუსულისა. და ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ ქართულს ანბანში არის მკვეთრი პერიფერიული მომენტი, რითაც ერთი ასოს ფორმა მეორისაგან ადვილად სხვავდება და ადვილი ასათვისებელი ხდება. ეს არის ერთი ორგინალური და აუცილებლად დადებითი მხარე ქართული შრიფტისა.

4—5 წლის მოზარდი უფრო ადვილად გაარჩევს ისეთ არიებს, რომლებიც ერთმანეთისაგან თავისთავად—ბუნებრივად განირჩევიან და მკითხველს აღარ სჭირდება განსაზღვრული ჩაფიქრება ასოების ერთი მეორისაგან განსასხვავებლად.

ჩვენი შრიფტის უპირატესობა სჩანს არა მარტო ლათინურ შრიფტთან შედარებით, არამედ თვით გოთურთანაც იმიტომ, რომ გოთური უფრო პრიმიტიულ სახეს ატარებს და არ ეტყობა იმდენი განვითარება როგორც ქართულს.

*) იხ. გაზ. „ტრიბუნა“ № 379.

*) ეს არ არის სწორი.

განო, რომელიც აერთიანებს, წარმართავს და კონტროლს უწევს ყველა ორგანიზაციების მუშაობას სიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის საქმეში.

3. აფხაზეთის ფედერატიული რესპუბლიკა, აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, აგრეთვე სამაზრო სიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის კომიტეტები წარმოადგენენ ანგარიშ ვალდებულ დაწესებულებას სიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარ კომიტეტის მიმართ და მთლად ექვემდებარებიან ამ უკანასკნელს.

4. სიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის კომიტეტების მოვალეობას შეადგენს:

ა) გაერთიანება ყველა საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანოების მუშაობისა სიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის საქმეში.

ბ) გამონახვა სახსრისა სიმშილობისა და სხვა ყოველგვარ სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის საჭიროებისათვის.

გ) აღმოჩენა დახმარებისა სიმშილობისა და სხვა ყოველგვარ სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულთათვის.

დ) ხელის შეწყობა, განსაკუთრებულ შემთხვევაში, დანგრეულ მეურნეობისათვის ადგილობრივ, სიმშილისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარ კომიტეტის მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად.

5, სიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარი კომიტეტის სახსარი შესდგება:

ა) სპეციალური ანაკრეფისა, გადასახადისა და დაბეგვრისაგან.

ბ) სამუშაო სასყიდლის ანარიცხის და შემოწირულებათაგან.

გ) სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაცემულ საშუალებათაგან.

დ) სხვა და სხვა თამაშობისა და გასართობის ექსპლოატაციით შემოსული თანხებისაგან.

**შენიშვნა:** მთავრობის მიერ ნებადართულ ყოველგვარ თანამშრომლობათა მოწყობის მონოპოლიური უფლება მთლად რესპუბლიკაში ენიჭება მხოლოდ სიმშილობისა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან ბრძოლის მთავარ კომიტეტს.

6. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. დეკემბრის „7"

ტფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 66

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

მე-9 №-რით გამოცემული დეკრეტის დამატების შესახებ.

კერძო მფლობელობის სახლებში ბინების შესახებ მე-9 №-ით გამოცემული დეკრეტის დასამატებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1) ბინის ქირის გადამხდელთა პირველ კატეგორიაში ჩაირიცხოს აგრეთვე ის პროფესიონალური კავშირის წევრი, რომელიც სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულების და საწარმოს სამსახურში არ იმყოფება, უკეთუ ის თავის ხელობით მარტოხელა მომუშავეა (ხურო, მღებავი, გადამხურავი, ტვირთმზიდავი მუშა და სხვ.)

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ. დეკემბრის „30"

ტფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 65.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. სამოქალაქო გადასახადის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

ზემო ავჭალაში ჰიდრო-ელექტრონული სადგურის მოსაწყობი ფონდის გასაძლიერებლად შემოღებული სამოქალაქო გადასახადის შესახებ—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, ამა 1922 წლის დეკემბრის 7-ს თარიღითა და 25 №-ით, გამოცემული დადგენილებას მე-3 მუხ. პუნქტისა და მე-5 მუხ. შესაცვლელად და დასამატებლად,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართ საბჭო ადგენს:

1. —ა) მუშა-მოსამსახურენი (პროფესიონალური კავშირების წევრნი) აგრეთვე სამხედრო მოსამსახურენი, რომელთაც 1922 წლის დეკემბერში შრომის სასყიდელი სამ მილიონამდე მიიღეს,—სრულიად განთავისუფლებულნი არიან სამოქალიქო გადასახაოისაგან; ბ)—მუშა-მოსამსახურენი (პროფესიონალური კავშირების წევრნი), აგრედვე სამხედრო მოსამსახურენი, რომელთაც 1922 წლის დეკემბერში შრომის სასყიდელი მიიღეს სამი მილიონიდან ხუთ მილიონამდე გადაიხდიან **ორმოცდა ათ კაპ.** ოქროთი; ბ), მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც 1922 წლის დეკემბერში შრომის სასყიდელი ხუთ მილიონზე მეტი მიიღეს, გადაიხდიან **ერთ მანეთს** ოქროთი.

**შენიშვნა:** პირველი მუხ. ბ. პუნქტში აღნიშნული პირნი განთავისუფლებულ არიან მათი ოჯახის წევრთა გადასახადისაგან, უკეთუ ამ უკანასკნელთ არავითარი შემოსავალი არა აქვთ და იმყოფებიან პირველთა რჩენაზე.

2. ტფილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს უფლება ეძლევა გააგრძელოს, თავისი შეხედულებისამებრ, გადამხდელების მიერ სამოქალაქო გადასახადის შეტანის ვადა, ხოლო არა უგვიანეს 1923 წ. იანვრის დამლევამდე.

3 1923 წლ. იანვარში გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს ფინანსთა სახალხო კომისრის მიერ 1922 წლის დეკემარისათვის დაწესებული კურსით.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნები ა,

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. დეკემბრის „30"

ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი—მთავარი კომეტეტი.

**ქალაქ ტფილისის აღმასკომ₃ის გადასახადთა ბიურო**

აცხადებს, რომ ახლო მომავალში

**საჯარო ვაჭრობით**

გაცემული იქნება დეზერტირის ბაზართან, ანდრეევის და საბაჟოს ქუჩების შუა მდებარე თავისუფალი ადგილები, ბაზრის მოსაწყობად. შეჯიბრების დღე იქნება ცალკე გამოცხადებული

პირობების გაგება შეიძლება საფინანსო განყოფილების მდივან გ. ახვლედიანთან ოთახი № 14. № 244. 3—3

**ამიერ-კავკასიის რკინის გზების**

**ტფილისის ქალაქის**

**სადგური**

**იღებს ცოტა და დიდი**

**ზნით**

**ტვირთებს და საოჯახო**

**ნივთებს**

**შესანახად**

**საწყობებში სადგურზე და ქალაქში ერევნის მოედანზე ყოფილ თამამშევის ქარვასლაში.**

**შეღავათიან პირობებში.**

5—3

**ამიერ-კავკასიის რკ. გზების**

**ტფილისის ქალაქის**

**სადგური**

**იღებს გადასატანად ტვირთებს რკინის გზის სადგურიდან შემდეგი**

**ფასებში:**

| | მან. ფუთზე |
|---|---|
| ერევნის მოედნამდე . . | 15.000 |
| მოედნამდე . . . . . | 15.000 |
| ვორონცოვის მოედნამდე. | 10.000 |

სხვა პუნქტებამდე **შეთანხმებით.**

ყოველ დღე საბარგო სადგურზე იმყოფება ქალაქის სადგურის წარმომადგენელი ტვირთების გადატანის მონდობილობათა მისაღებად.

5—3

**დოკტორი გ. მეგრაბიანცი**

**„უ. ახისენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა"**

შინაგანი და ვენერიული ავათმყოფობისა რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეტი.

იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.

№ 215 ბებუთოვის ქუჩა № 23. 35

## სავალდებულო დადგენილება

ქალ. ტბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა·

2 იანვარი 1923 წ.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 30 დეკემბრის დადგენილების № 65 თანახმად ქალ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი მის მიერ 19 დეკებერს 1922 წ. სამოქალაქო გადასახადის შესახებ გამოქვეყნებულ სავალდებულო დადგენილების № 25 შესაცვლელად და დასამატებლად ადგენს §§ 2,3,4,7 რედაქცია შეცვლილ იქნეს შემდეგი სახით:

§ 2.

სამოქალიქო გადასახადი გადახდილ იქმნას შემდეგი რაოდენობით: ა) მუშა-მოსასმსახურეთა მიერ (პროფესიონალურ კავშირის წევრთა მიერ), აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეებისაგან, რომელთა 1922 წლის დეკემბერი შრომის სასყიდელი მიღეს სამ მილიონზე მეტი ვიდრე ხუთ მილიონამდე ორმაცდა ათი კაპ. ოქროთი. ბ) მუშა-მოსამსახურეთაგან (პროფნსიონალურ კავშირის წევრთაგან, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეთაგან, რომელთაც 1922 წლის დეკემბერში შრომის სასყიდელი ხუთ მილიონზე მეტი მიიღეს—ერთი მანეთი ოქროთი. გ) სავაჭრო სამრეწველო კლასის პირთა მიერ სამი მანეთი ოქროთი, ხოლო ყველა დანარჩენ პირთა მიერ ერთი მანეთი და ორმოცდაათი (1 მან. 50 კ.) სულზე.

**შენიშვნა:** 1: ამ მუხლის ა. პუნქტში აღნიშნულნი პირნი განთავისუფლებულნი არიან მათი ოჯახის წევრთა გადასახადისაგან, უკეთუ ამ უკანასკნელთ არავითარი შემოსავალი არა აქვთ და პირველთა ხარჯზე ცხოვრობენ.

**შენიშვნა:** 2: სამოქალაქო გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს ქართული ბონებით იმ კურსის მიხედვით, რომელიც გადახდის დღეს იქნება დაწესებული ფინანსთა კომისარიატის მიერ.

§ 3.

სამოქალაქო გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს გადამხდელთა მიერ არა უგვიანეს იმ ვადისა, რომელიც ცალკე გამოცხადებული იქნება ქალ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

**შენიშვნა:** 1. გადასახადს, თანაბრად ოჯახის უფროსისა, იხდიან ოჯახის ის წევრები, რომელთაც არავითარი თავის შემოსავალი არ აქვთ და ოჯახის უფროსის ხარჯზე ცხოვრობენ. და ამ დადგენილების მიხედვით არ თავისუფლდებიან გადასახადისაგან.

**შენიშვნა** 2: ოჯახის წევრებად ითვლებიან ცოლი, შვილი და დედმამა (ქმარის და ცოლის).

**შენიშვნა** 3: გადასახადის გაუღებლობის გამო ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ გამოცხადებულ ვადაში მიემატოს გადასახადს თხუთმეტი დღის განმავლობაში ამ ვადისა 25 პროც. საურავი, ხოლო ამის შემდეგ გადასახადი გაორკეცებულ იქნეს და ვინც არ შეიტანს ადმინისტრატიული წესით გადახდეს.

§ 4.

სამოქალაქო გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქნან: ა) ნამდვილი სამსახურში მყოფი წითელ-არმიელნი და მილიციონერები, ბ) სახელმწიფო სასწავლებელთა მოსწავლენი, თუ ისინი არ მსახურებენ. ვ) პირი, რომელიც სოციალურ უზრუნველ ყოფით სარგებლობს, დ) უმუშევარი, რომელიც შრომის ბირჟაში არის აღრიცხული დადგენილების გამოცხადებამდე, ე) ქალი, რომლის მზრუნველობაში იმყოფება ერთი ან მეტი ბავშვი 17 წლამდე, ან ოჯახის სხვა უნარ მოკლებული წევრი, თუ იგი დამოუკიდებლათ, სხვისი დახმარების გარეშე, ეწევა მეურნეობას, ვ) დიასახლისი, რომელიც ემსახურება ხუთისა დაა მეტი სულისაგან შემდგარ ოჯახს, ზ) მუშა-მოსამსახურენი (პროფესიონალურ კავშირის წევრენი), აგრეთვე სამხედრო მოსამსახურენი, რომელთაც 1922 წლის დეკემბერში შრომის სასყიდელი სამ მილიონამდე მიიღეს და თ) ის პირნი, რომელთაც უკვე გადაუხდია სამოქალაქო გადასახადი სხვა საბჭოთა რესპუბლიკაში წარმოადგენენ ამის სათანადო საბუთს.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, როცა ოჯახის უფროსი თავისუფლდება სამოქალაქო გადასახადისაგან, თავისუფლდება აგრეთვე ოჯახის ის წევრებიც, რომლებსაც არ აქვთ არავითარი თავისი შემოსავალი.

§ 7.

სახლის მეპატ., კომენდანტები, მოიჯარად., მოურავები, მობინადრეთა კოლექტივები, რომელთა ზედამხედველობაშიაც სახლები იმყოფებიან, ვალდებულნი არიან სასწრაფოდ შეადგინონ ცალ-ცალკე, კატეგორიების მიხედვით, სიები: სია № 1 შეტანილ უნდა იქნეს ის მუშა-მოსამსახურენი (პროფკავშირის წევრები და სამხედრო მოსამსახურენი, რომელთაც 1923 წლის დეკემბერში შრომის სასყიდელი მიიღეს სამ მილიონ მანეთზე მეტი ვიდრე ხუთ მილიონამდე თან შეტანით; სია № 2 მუშა-მოსამსახურენი (პროფკავშირის წევრები) და სამხედრო მოსამსახურენი, რომელთა დეკემბრის ხელფასი აღემატებოდა ხუთ მილიონს სიაში № 3, ის პირნი, რომლებსაც ვაჭრობა-მრეწველობას აწარმობენ; სია № 4—ყველა დანარჩენი. ვინც ვალდებულია საოქალაქო გადახახადი გადაიხადოს და სიაში №—5 ყველა ის პირნი' რომლებიც თანახმად ამ დადგენილებისა განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან, აკრეფონ გადამხდელებისაგან ხვედრი ფული და წარუდგინონ სიებით იქ აღნიშნულ პირთა საბუთებითურთ სათანადო სამილიციო უბნის სამისამართო მაგიდის წარმომადგენელს.

**შენიშვნა** 1: მუშა-მოსამსახურეთა და სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ უნდა წარმოდგენილ იქმნეს სპეციალური მოწმებები სათანადო პროფკავშირებიდან და დაწესებულებათაგან დეკემბრის შრომის სასყიდლის აღნიშვნით.

**უენიშვნა** 2: უმუშევრებს, მილიციონერებს, წითელ-არმიელებს, და იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც დადგენილების ძალით განთავისუფლებულნი არიან გადასახადიდან, სპეციალურ მოწმობებს აძლევს შრომის ბირჟა, სათანადო დაწესებულებანი და პროფკავშირები.

აღმასკომის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე.**

აღმასკომის მდივანი **ხუდაძე.**

ტირაჟი 1.000

საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.